**პროფესიული მომზადების პროგრამა:** რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:** 3 - პროფესიული მომზადება

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 10 კვირა (120 სთ)

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 12 სთ

**მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:** მინიმალური 5; მაქსიმალური 15

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** საშუალო განათლება

**პროგრამის მიზნები:** პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მსმენელმა შეისწავლონ სფეროსთან დაკავშირებული განმარტებები, ტურისტული მეგზურის სამუშაო ფუნქციები, ქცევის წესებსი და ეთიკის ნორმები, საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტები. დაეუფლონ ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით ტურისტული ინდუსტრიისთვის საინტერესო პროდუქტის/შემეცნებითი ექსკურსიის შექმნის სპეციფიკას, საამბობი ტექსტის შემუშავების წესებს. შეიძინონ ტურისტული დანიშნულების ადგილის დემონსტრაციის და ჯგუფის გაძღოლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევებით გახდნენ კონკურენტუნარიანი კადრები შრომის ბაზარზე.

პროგრამის გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ თავად შექმნან და მართონ ახალი, რეგიონალურ სპეციფიკაზე მორგებული ტურისტული პროდუქტები და დასაქმდნენ ტურისტული მეგზურის პოზიციაზე, ასევე, ჩაერთონ საოჯახო სასტუმროების მომსახურების გაუმჯობესების საქმეში

**სწავლის შედეგები:**

სწავლის შედეგი 1. ტურიზმის/მოგზაურობის ინდუსტრიისა და ტურისტული მეგზურის სამუშაო აღწერილობა;

სწავლის შედეგი 2. მეგზურის პროფესიის საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტები და ეთიკის ნორმები;

სწავლის შედეგი 3. ექსკურსიის შექმნის მეთოდები და ხერხები;

სწავლის შედეგი 4. საამბობი ტექსტის შემუშავება და წარდგენა;

სწავლის შედეგი 5. ტურისტული ობიექტის/მარშრუტის შერჩევა და ინფორმაციის მომზადება;

სწავლის შედეგი 6. უსაფრთხოების ნორმები: დაცვა/ზრუნვა;

სწავლის შედეგი 7. ჯგუფის გაძღოლა/ორგანიზება;

სწავლის შედეგი 8. პრაქტიკული პროექტი - ახალი რეგიონული ტურისტული ობიექტის დემონსტრირება/პრეზენტაცია.

**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრული ზოგადი განათლების მქონე სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები აღნიშნული მიმართულებით.

სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, კვირეული დატვირთვა 12 საათი, სულ 120 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული სწავლება ჩატარდება კოლეჯის თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში, ხოლო ნაწილი პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება რეგიონის ტურისტული ობიექტების ბაზაზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ თავად შექმნან და მართონ ახალი, რეგიონულ სპეციფიკაზე მორგებული ტურისტული პროდუქტი და დასაქმდნენ მეგზურის პოზიციაზე რეგიონის მასშტაბით, ასევე, ჩაერთონ საოჯახო სასტუმროების მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ